ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით

13 მარტი 2017 წ.

ქ. თბილისი

[illegible] მხრივ სს „მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი“ (ს/კ: 201951682) [illegible] წარმოდგენილი მისი დირექტორების მამუკა მაჭავარიანისა და გივი კორინთელის [illegible] მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და

[illegible] შპს „გრინლანდია“ (ს/კ:404515681) (შემდგომში „მყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

[illegible] ვადასტურებთ რა, რომ სრული და კანონიერი უფლებამოსილება გაგვაჩნია აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების [illegible] წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად გამყიდველი მყიდველს საკუთრებაში გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში დასახელებულ უძრავი ქონებებებს, ხოლო მყიდველი კი ვალდებულია ნასყიდობის საგნებზე მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდგომ გადაიხადოს სასყიდობის ფასი წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით შეთანხმებული წესით.

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რესტრში რეგიტრაციით მყიდველი-შპს „გრინლანდია“ მოიპოვებს საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგნებზე, ხოლო მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის განვადებით გადახდის თაობაზე ყველა უძრავ ქონებასთან მიმართებაში რეგისრირებული იქნება ვალდებულება მის სრულ შესრულებამდე. თითოეული ქონების ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ მხარეები ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვენ შესაბამის საჯარო რესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაციას.

2 ნასყიდობის საგანი

ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალაში მდებარე სს „მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი“-ს საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებები:

1. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.544. დაზუსტებული ფართობი: 16380.00კვ.მ.;
2. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.546. დაზუსტებული ფართობი: 16380.00კვ.მ.
3. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.563. დაზუსტებული ფართობი: 15600.00კვ.მ.
4. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.564. დაზუსტებული ფართობი: 15600.00 კვ.მ.
5. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.548. დაზუსტებული ფართობი: 16,380.00კვ.მ.

3. ნასყიდობის საგნის ფასი და ანგარიშსწორების წესი :

3.1. ნასყიდობის საგნის ღირებულება თითოეული მიწის ნაკვეთისათვის შეადგენს:

1. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.544.-სათვის 708832 (შვიდას რვა ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარი;
2. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.546. -სათვის 708832 (შვიდას რვა ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარი;
3. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.563. -სათვის 675078 (ექვსასსამოცდათხუთმეტი ათას სამოცდათვრამეტი) ლარი;

4. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.564. -სათვის 675078 (ექვსასსამოცდათხუთმეტი ათას სამოცდათვრამეტი) ლარი;

5. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით:72.16.15.548-სათვის 708832 (შვიდას რვა ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარი;

სულ 3 476652 (სამი მილიონ ოთხასსამოცდათექვსმეტი ათას ექვსასორმოცდათორმეტი) .

3.2 მხარეები თანმხდებიან რომ მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს თავისუფალი გრაფიკით წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) თვის ვადაში.

4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები:

4.1 გამყიდველი აცხადებს, რომ მყიდველისათვის გადაცემული უძრავი ქონებები უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში, არ არის დაყადაღებული ან სხვა რაიმე უფლებების დატვირთული და რომ მესამე პირებს არ შეიძლება გააჩნდეთ რაიმე პრეტენზიები ან მოთხოვნები ნასყიდობის საგნის მიმართ.

4.2. "მყიდველი" ადასტურებს, რომ სრულად იცნობს ნასყიდობის საგანს და რომ მის ხარისხობრივ-ნივთობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ გააჩნიაა არავითარი პრეტენზია. შესაბამისად "მყიდველი" წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ ყოველგვარი პრეტენზიის გაცხადების გარეშე ნივთობრივი თვალსაზრისით "ნასყიდობის საგანს" მიიღებს იმ მდგომარეობით, რაც მას აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის;

ეს ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საქ. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს. მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ხელი მოაწერეს მას.

მხარეთა ხელმოწერები

„გამყიდველი“

სს "მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი“

გენერალური დირექტორი

მამუკა მაჭავარიანი, პირადი 01024002662

აღმასრულებელი დირექტორი

გივი კორინთელი, პირადი 01030014949

„მყიდველი“

შპს „გრინლანდია“

დირექტორი

ნანა მაჭავარიანი, პირადი 21001026304

სააქციო საზოგადოება
საინვესტიციო ფონდი
"მწვანე კაპიტალი"

JOINT STOCK COMPANY
SME INVEST FUND
"GREEN CAPITAL"

№22/12-18 «25» ივნისი 2022 წ.

თანხმობა

ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N112-ე განკარგულებით დამტკიცებულია ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა და საპროექტო ტერიტორია მოიცავს შპს ,,გრინლანდიას" (ს/ნ 404515681) საკუთრებში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ N 72.16.33.012), რომელზეც სს ,,მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალის" (ს/ნ201951682), როგორც გამყიდველის სასარგებლოდ რეგისტრირებულია ვალდებულება (განცხ. რეგ.N 882017184466; რეგ. თარიღი: 24/03/2017), სს ,,მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი" (ს/ნ201951682) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ფილიპე ხუფენიას (პ/ნ 01019033045) მიერ, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, აცხადებს თანხმობას შპს ,,გრინლანდიას" (ს/ნ 404515681) მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არსებულ (განცხადება № AR1887159 და არამხოლოდ) ან სამომავლო მოთხოვნებთან, (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის, სამშენებლო ნებართვის გაცემის ან სხვა სამშენებლო თუ იურიდიულ საკითხთან) დაკავშირებით.

სს ,,მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი"

დირექტორი

ფილიპე ხუფენია

ფილიპე ხუფენია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220319702
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.03.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლალი გზირიშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, პეკინის გამზირი 23. ბინა 47**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**236 99 99**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31104588148022

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცდახუთ მარტს მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს სანოტარო ბიუროში - მისამართზე ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 23, ბ. 47, მომმართა ფილიპე ხუფენიამ, რომელმაც მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ სს საინვესტიციო ფონდი „მწვანე კაპიტალის" 25.03.2022წლის #22/12-18 თანხმობაზე, თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ფილიპე ხუფენიამ** (დაბადებული 09.06.1972 თბილისში, რეგ თბილისი ქსნის ქ.22 ბინა 31 პირადი №01019033045) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე: წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ფილიპე ხუფენიამ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე თანხმობაზე რასაც ვამოწმებ.

თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა გადახდილია საზღაური 2 (ორი) ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის დ.ღ.გ 18% 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადახდილია 2(ორი) ლარი, სულ 4(ოთხი)ლარი და 0.36(ოცდათექვსმეტი)თეთრი.

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი